საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-6

05/01/2021

ქ. თბილისი

სს „საქართველოს რკინიგზის“ მდ. რიონზე რკინიგზის სადგურ „რიონთან“ ორლიანდაგიანი სარკინიგზო ხიდის მშენებლობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 23 დეკემბერს სამინისტროს მომართა სს „საქართველოს რკინიგზის“ კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2001 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „საქართველოს რკინიგზის“ მდ. რიონზე რკინიგზის სადგურ „რიონთან“ ორლიანდაგიანი სარკინიგზო ხიდის მშენებლობაზე გაიცა №6 (27.02.2001) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2012 წელს შპს „საქართველოს რკინიგზამ“ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და ჩამოყალიბდა სს „საქართველოს რკინიგზის“ სახელით, რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2001 წლის №6 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2001 წლის №6 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „საქართველოს რკინიგზის“ მდ. რიონზე რკინიგზის სადგურ „რიონთან“ ორლიანდაგიანი სარკინიგზო ხიდის მშენებლობაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №6; 27.02.2001);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს რკინიგზას“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი